საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

13/08/2025

MES 6 25 0000977524

გადაწყვეტილება

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის "მუსიკის მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 14 მაისის №522141 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების „მუსიკის მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

5.1 კომპონენტში აკრედიტაციის საბჭომ რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში, კერძოდ:

"რეკომენდირებულია, რომ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები უშუალოდ წარმოდგენილნი იყვნენ თვითშეფასების ჯგუფის წევრებად, რათა მათი ხმა და პოზიცია აღნიშნული პროცესის ყველა ეტაპზე ისმოდეს."

აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ აღნიშნულმა არ გამოიწვია მე-5 სტანდარტის ცვლილება..

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „მუსიკის მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 30 ივლისამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „მუსიკის მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

1. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 13 აგვისტოს სხდომის №977513 ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
2. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს სწავლის შედეგების რაოდენობა ისე, რომ თითოეული მათგანი იყოს მკაფიო, გაზომვადი და მორგებული მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამას, რომელსაც აქვს კონკრეტული მიზანი, მოამზადოს კვალიფიციური კადრი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუსიკის მასწავლებლის პროფესიაში შესასვლელად.
- რეკომენდებულია, უსდმ-მ გააძლიეროს ძალისხმევა, მათ შორის ტრენინგების შეთავაზებით, რათა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობდეს სრულყოფილ ინფორმაციას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის მიმართულებით.
- რეკომენდირებულია, საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკაში თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრული იყოს მისთვის დამახასიათებელი და ადეკვატური ინსტრუმენტი - იქნება ეს პრეზენტაცია, გაკვეთილის გეგმა, გამოცდა თუ სხვა.
- რეკომენდირებულია, სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასების ნაწილში, განისაზღვროს დამსაქმებელთა გამოკითხვის სამიზნე ნიშნული და ფორმაში ინტეგრირდეს კურსდამთავრებულთა ჩართულობის საკითხი.
- რეკომენდებულია, შეიცვალოს სასწავლო კურსის „მუსიკის საგნის სწავლების სტანდარტი "სილაბუსი და მოერგოს სტუდენტთა საჭიროებებს სამივე საფეხურის სწავლებისთვის.განახლდეს ლიტერატურის ჩამონათვალი.
- რეკომენდებულია, შეიქმნას სასწავლო კურსი "ზოგადი განათლების სამართლებრივი საფუძვლები".
- რეკომენდირებულია, შეიცვალოს სასწავლო კურსის "პედაგოგიური პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში" შინაარსი და მისაღწევი შედეგები.
- რეკომენდირებულია, სასწავლო კურსის "პედაგოგიური პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში" ფარგლებში მოხდეს პორტფოლიოს წარმოება, რომლის პრეზენტაციაც მოხდება პროგრამის ხელმძღვანელთან და შესაბამის კომისიასთან.
- რეკომენდებულია, მმმსპ-ის სასწავლო კურსს "პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში" დაემატოს მცირე კვლევითი კომპონენტი, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტს, განახორციელოს რეალურ საგანმანათლებლო გარემოზე დაფუძნებული კვლევა ან რეფლექსიური ანალიზი.
- რეკომენდირებულია, სასწავლო კურსის "პედაგოგიური პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში" ხელმძღვანელად დაინიშნოს პრაქტიკული გამოცდილების მქონე, სტატუსით შესაბამისი პედაგოგი.
- რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ლექტორებისა და საგნების შეფასებისპროცესში სტუდენტთა მონაწილეობის სტიმულირება და უზრუნველყოს შესაბამისი ინფორმაციის რეგულარული და მრავალმხრივი გავრცელება.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 30 ივლისს.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2026 წლის 30 ივლისი.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო

დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე